ს.ს.ი.პ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

11 ნოემბერი, 2026 წელი

ბრძანება №01-02/225

ბსუ-ს პროფესიული მომზადების პროგრამის „პირველადი გადაუდებელი დახმარება“ დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, „პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის შემუშავებისა და დამტკიცების წესის განსაზღვრის თაობაზე“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის **მინისტრის 2019 წლის 26 მარტის №59/ნ ბრძანების,** „პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“ **საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების,** „ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ“ **ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 08 თებერვლის №01-02/11 ბრძანების,** „ბსუ-ს პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების პროგრამების შემუშავებისა და განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს **რექტორის 2019 წლის 05 დეკემბრის №01-02/202 ბრძანების,** „ბსუ-ს პროფესიული განათლების მიმართულებით პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის სერტიფიკატის და სერტიფიკატის დანართის ფორმების დამტკიცების შესახებ“ **ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 25 მარტის №01-02/71 ბრძანების,** „ბსუ-ს პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განმახორციელებელ პერსონალთან გასაფორმებელი შრომითი ხელშეკრულების ფორმების დამტკიცების შესახებ“ **ბსუ-ს რექტორის 2026 წლის 24 აპრილის №01-02/78 ბრძანების,** „ბსუ-ს პროფესიული განათლების მიმართულებით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ფარმაცია (სააფთიქო) დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2025 წლის 19 სექტემბრის №01-02/175 ბრძანების, ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერის (ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი) 2026 წლის 11 ნოემბრის №1644470 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს ბსუ-ს პროფესიული მომზადების პროგრამა **„პირველადი გადაუდებელი დახმარება“** (მსმენელთა რაოდენობა ჯგუფში: მინიმალური: 15 მაქსიმალური: 20) წინამდებარე ბრძანების **№1 დანართის** შესაბამისად.
2. ბსუ-ს პროფესიული მომზადების პროგრამის **„პირველადი გადაუდებელი დახმარება“,** განმახორციელებელი პერსონალის შემადგენლობა განისაზღვროს წინამდებარე ბრძანების **№2 დანართის** შესაბამისად.
3. ბსუ-ს პროფესიული მომზადების პროგრამის **„პირველადი გადაუდებელი დახმარება“** მატერიალური და სასწავლო რესურსი განისაზღვროს წინამდებარე ბრძანების **№3 დანართის** შესაბამისად.
4. ბრძანება განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე (ველებში -„ბსუ-ს რექტორის ბრძანებები” და „პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრი“).
5. ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების **ცენტრმა,** ბსუ-ს რექტორის მოადგილესთან (თ. სირაძე) **და** ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან კოორდინირებით **უზრუნველყოს** წინამდებარე ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული მომზადების პროგრამის **„პირველადი გადაუდებელი დახმარება“** განხორციელებისათვის ელექტრონული განაცხადის წარდგენა ელექტრონულ სისტემაში (უფლების მოპოვების გარეშე), კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების ორგანიზება-გატარება და შესაბამისი სამსახურებრივი ბარათის ბსუ-ს რექტორისათვის წარმოდგენა (ელექტრონული განაცხადის რეგისტრაციის შედეგებთან/განსახორციელებელ აქტივობებთან დაკავშირებით).

6. ბრძანება დაეგზავნოს ბსუ-ს რექტორის მოადგილეს (თ. სირაძეს), ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს, მატერიალური რესურსების მართვის დეპარტრამენტს, იურიდიულ დეპარტამენტს და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.
7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ. №30).

ბსუ-ს რექტორი ტიტე აროშიძე



,,ბსუ-ს პროფესიული მომზადების პროგრამის

,,პირველადი გადაუდებელი დახმარება“ დამტკიცების შესახებ“

ბსუ-ს რექტორის 2026 წლის 11 ნოემბრის № 01-02/225 ბრძანების

დანართი №1

საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

1. ზოგადი ინფორმაცია პროგრამის შესახებ

პროგრამის სახელწოდება: პირველადი გადაუდებელი დახმარება
პროგრამის სახე: X პროფესიული მომზადება X პროფესიული გადამზადება
ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე: ☐ 2 ☐ 3 ☐ 4 ■ 5
პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში: 4 კვირა
კვირეული სასწავლო საათობრივი დატვირთვა: I – III კვირა - 16 საათი, IV კვირა - 12 საათი
მსმენელთა რაოდენობა ჯგუფში: მინიმალური: 15 მაქსიმალური: 20

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები:

განათლება: სრული ზოგადი;

ასაკი: არანაკლებ 18 წელი;

აპლიკანტთა შერჩევის ფორმა: გასაუბრება

პროგრამის მიზნები: პროფესიული მომზადების პროგრამის **„პირველადი გადაუდებელი დახმარება“** მიზანია პირს განუვითაროს პირველადი გადაუდებელი დახმარების გაწევისთვის საჭირო ცოდნა და პრაქტიკული უნარები, რაც უზრუნველყოფს კრიტიკული მდგომარეობების დროულ ამოცნობას, სიტუაციის შეფასებას, საკუთარი თავისა და დაზარალებულის უსაფრთხოების უზრუნველყოფას, შესაბამისი პირველადი გადაუდებელი დახმარების ღონისძიებების განხორციელებას, მათ შორის სუნთქვისა და სისხლის მიმოქცევის დარღვევების, ცნობიერების ცვლილების, ტრავმების, მოტეხილობებისა და სისხლდენების დროს, ასევე ფილტვ-გულის რეანიმაციის განხორციელებას ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით.

სწავლის შედეგები (რომელიც აღინიშნება ცოდნით ან/და უნარით ან/და კომპეტენციით)

1. პირველადი დახმარების არსის დახასიათება;
2. კრიტიკული მდგომარეობების დახასიათება;
3. გულსისხლძარღვთა და სუნთქვის მოშლილობით მიმდინარე მდგომარეობების დროს გადაუდებელი დახმარება;
4. ტრავმებისა და სისხლდენების დროს პირველადი გადაუდებელი დახმარება;
5. კრიტიკული მდგომარეობისას საკუთარი თავის მართვა.

პროგრამის შემუშავების საფუძველი: ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ფარმაცია (სააფთიაქო)“ (დამტკიცებულია „ბსუ-ს პროფესიული განათლების მიმართულებით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ფარმაცია (სააფთიქო) დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2025 წლის 19 სექტემბრის №01-02/175 ბრძანებით).

პროგრამის მოკლე აღწერა: პროფესიული მომზადების მოკლევადიანი პროგრამა **„პირველადი გადაუდებელი დახმარება“** მსმენელებს აძლევს პირველადი დახმარების ძირითადი პრინციპების, კრიტიკული მდგომარეობების ამოცნობისა და შესაბამისი გადაუდებელი ღონისძიებების განხორციელებისთვის საჭირო ცოდნასა და პრაქტიკულ უნარებს. სწავლების პროცესში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა პრაქტიკული უნარების გამომუშავებასა და განმტკიცებას, მათ შორის სასუნთქი გზების გამავლობის უზრუნველყოფას, კომპრესიას მკერდის ძვალზე, ფილტვ-გულის რეანიმაციას ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით, ტრავმის დროს პაციენტის სწორი პოზიციის შერჩევას, ლახტისა და არტაშნის დადებას, სისხლდენის მართვას, ასევე შემთხვევის ადგილის შეფასებას, უსაფრთხოების უზრუნველყოფას და დაზარალებულის/პაციენტის ცნობიერების განსაზღვრას. პროგრამა ასევე ითვალისწინებს პირველადი დახმარების გაწევასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის წარმოებასა და შესაბამისი ლათინური ტერმინოლოგიის გამოყენებას. პროგრამის ხანგრძლივობა შეადგენს 4 სასწავლო კვირას, სულ 60 საათს. მსმენელის შეფასება ითვალისწინებს: განმავითარებელ და განმსაზღვრელი შეფასებას (სწავლის შედეგი დადასტურდა; სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა}. განმსაზღვრელი შეფასება ხორციელდება მე-2, მე-3 და მე-4 კვირეებში. შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში, მსმენელს უფლება აქვს მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება, მაქსიმუმ ერთხელ. პროგრამის დასრულების შემდეგ მსმენელებს გადაეცემათ სახელმწიფოს მიერ აღიარებული სერტიფიკატი შესაბამისი დანართით.

2. პროგრამის შინაარსი

სასწავლო კვირა	თემატიკა	თემატიკის შესაბამისი სწავლის შედეგების ნომრები	კვირეული სასწავლო დატვირთვა	სწავლების მეთოდი/ები	შეფასების მეთოდი/ები	სასწავლო გარემო
I	➢ პირველადი დახმარების მიზანი; ➢ მოქმედების გეგმა პირველადი დახმარების აღმოსაჩენად; ➢ **კრიტიკული მდგომარეობები:** რესპირატორული მოშლილობა, მოხრჩობა (ასფიქსია); გულის წასვლა, კოლაფსი, შოკი; ტრავმითა და მოტეხილობით გამოწვეული ტრავმული შოკი; ანაფილაქსიური შოკი;	1	8	**ლექცია;** დემონსტრირება, დისკუსია, შემთხვევის ანალიზი,		A გარემო (ქ. ბათუმი, ლეონიძის ქ. №15)
	კრუნჩხვითი მდგომარეობანი; ელექტროტრავმა, მეხის დაცემა; ჰიპერთერმიული სინდრომი - სითბური და მზის დაკვრა, დამწვრობა; ჰიპოთერმიული სინდრომი - მოყინვა; ინტოქსიკაცია; სისხლდენა; შხამიანი მწერების/ცხოველების ნაკბენები; ➢ პირველადი გადაუდებელი დახმარების **სამოქმედო გეგმის ელემენტები:** შემთხვევის ადგილის დათვალიერება/სიტუაციაში გარკვევა; უსაფრთხოების უზრუნველყოფა; პირველი დახმარების გაწევა; დახმარების დროული მოხმობა; ლათინური ტერმინოლოგია.					
	➢ კრიტიკული მდგომარეობის სიმპტომატიკა;	2	8			
	➢ პირველადი დახმარების D.R.C.A.B. ალგორითმი.					
II	**განმსაზღვრელი შეფასება**	1-2	3		**გამოკითხვა (ტესტი)**	A გარემო (ქ. ბათუმი, ლეონიძის ქ. №15

	➢ გადაუდებელი დახმარების ღონისძიებები: გულსისხლძარღვთა და სუნთქვის მოშლილობით მიმდინარე მდგომარეობების დროს; ➢ პირველადი გადაუდებელი დახმარება სუნთქვის დარღვევისას; ➢ პირველადი გადაუდებელი დახმარება სისხლის მომოქცევის დარღვევისას; ➢ პირველადი გადაუდებელი დახმარება ცნობიერების დარღვევისას; ➢ სასუნთქი გზების გამავლობის უზრუნველყოფა; ➢ კომპრესია მკერდის ძვალზე (გულის გარეგანი მასაჟი);	3	5	ლექცია; დისკუსია; პრაქტიკული მეცადინეობა.		C გარემო (ქ. ბათუმი, ლეონიძის ქ. №15
	➢ ფილტვ-გულის რეანიმაცია ასაკობრივი თავისებურებების ჭრილში; ➢ ლათინური ტერმინოლოგია; ➢ დოკუმენტაციის წარმოება.	3	8			
III	**განმსაზღვრელი შეფასება**	მე - 3	2		პრაქტიკული დავალება დაკვირვებით	C გარემო (ქ. ბათუმი, ლეონიძის ქ. №15
	➢ პაციენტის სწორი პოზიცია ტრავმების დროს; ➢ მოტეხილობის დროს ლახტის და არტაშნის დადების ტექნიკა;	4	6	ლექცია; დისკუსია; პრაქტიკული მეცადინეობა.		C გარემო (ქ. ბათუმი, ლეონიძის ქ. №15
	➢ გადაუდებელი დახმარების ღონისძიებები სისხლდენების დროს; ➢ ლახტის დადებას სისხლდენის დროს შესაბამისი ტექნიკის დაცვით; ➢ ლათინური ტერმინოლოგია; ➢ დოკუმენტაციის წარმოება.	4	5			
	➢ შემთხვევის ადგილის დათვალიერებით კონკრეტული სიტუაციის დადგენა; ➢ დაზარალებულისათვის და თავისთვის გარემოს	5	3			

	უსაფრთხოების უზრუნველყოფის წესები;					
IV	➢ დაზარალებულის /პაციენტის ცნობიერების განსაზღვრა; ➢ დოკუმენტაციის წარმოება.	5	8	ლექცია; დისკუსია; პრაქტიკული მეცადინეობა.		A/C გარემო (ქ. ბათუმი, ლეონიძის ქ. №15
	განმსაზღვრელი შეფასება	მე-4 - მე-5	4		პრაქტიკული დავალება დაკვირვებით	C გარემო (ქ. ბათუმი, ლეონიძის ქ. №15

3. პროგრამის თავსებადობა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამასთან

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, რომლის ფარგლებშიც შემუშავებულია პროფესიული მომზადების პროგრამა - ფარმაცია (სააფთიაქო)	
0911026 - პირველადი გადაუდებელი დახმარება	სწავლის შედეგი 1: პირველადი დახმარების არსის დახასიათება;
	სწავლის შედეგი 2: კრიტიკული მდგომარეობების დახასიათება;
	სწავლის შედეგი 3: გულსისხლძარღვთა და სუნთქვის მოშლილობით მიმდინარე;
	სწავლის შედეგი 4: ტრავმებისა და სისხლდენების დროს პირველადი გადაუდებელი;
	სწავლის შედეგი 5: კრიტიკული მდგომარეობისას საკუთარი თავის მართვა.

,,ბსუ-ს პროფესიული მომზადების პროგრამის

„პირველადი გადაუდებელი დახმარება“ დამტკიცების შესახებ“

ბსუ-ს რექტორის 2026 წლის 11 ნოემბრის № 01-02/225 ბრძანების

დანართი №2

ბსუ-ს პროფესიული მომზადების პროგრამის ,,პირველადი გადაუდებელი დახმარება“ განმახორციელებელი პერსონალი

№	ბსუ-ს პროფესიული განათლების მასწავლებლის სახელი და გვარი	კვალიფიკაცია/აკადემიური ხარისხი:
1	ინგა კილტავა	კვალიფიკაცია/აკადემიური ხარისხი: ექიმ-ლაბორანტი, ბებია ქალი.
2	რუსუდან ქამადაძე	კვალიფიკაცია/აკადემიური ხარისხი: ზოგადი პროფილის ექიმი პედიატრი
3	ია ფირცხალაიშვილი	კვალიფიკაცია/აკადემიური ხარისხი: დიპლომირებული მედიკოსის აკადემიური ხარისხი
4	ინდირა ბერიძე	კვალიფიკაცია /აკადემიური ხარისხი: ზოგადი პროფილის მედდა
5	გიორგი ბოლქვაძე	კვალიფიკაცია/აკადემიური ხარისხი: აგროეკოლოგია; ბუნების დაცვა და მეტყევეობა (გარემოს მენეჯმენტი) მაგისტრატურა
6	ია დუნდუა	კვალიფიკაცია/აკადემიური ხარისხი: ზოგადი პროფილის მედდა
7	ხათუნა ორმოცაძე	კვალიფიკაცია/აკადემიური ხარისხი: ზოგადი პროფილის მედდა
8	ლიანა ლომაძე	კვალიფიკაცია/აკადემიური ხარისხი: ზოგადი პროფილის მედდა
9	მზია ჯიჯიეშვილი	კვალიფიკაცია/აკადემიური ხარისხი: ზოგადი პროფილის მედდა

„ბსუ-ს პროფესიული მომზადების პროგრამის „პირველადი გადაუდებელი დახმარება“

დამტკიცების შესახებ“

ბსუ-ს რექტორის 2026 წლის 11 ნოემბრის №01-02/225 ბრძანების

დანართი №3

ბსუ-ს პროფესიული მომზადების პროგრამის „პირველადი გადაუდებელი დახმარება“

მატერიალური და სასწავლო რესურსი (ლიტერატურა)

ბსუ-ს პროფესიული მომზადების პროგრამა - *პირველადი გადაუდებელი დახმარება*	A	მატერიალური რესურსი				
		1	მსმენელის საკლასო სამუშაო ადგილი (მაგიდა/სკამი)	1	კომპლექტი	სტუდენტზე
		2	პროფესიული განათლების მასწავლებლის სამუშაო ადგილი (მაგიდა /სკამი)	1	კომპლექტი	სასწავლო გარემოზე
		3	კომპიუტერი	1	კომპლექტი	სასწავლო გარემოზე
		4	დაფა	1	ცალი	სასწავლო გარემოზე
		5	პროექტორი- დემონსტრირების ციფრული საშუალება	1	ცალი	სასწავლო გარემოზე
		6	თემატური თვალსაჩინოებები/სასტენდო ვიზუალიზაცია	1	კომპლექტი	სასწავლო გარემოზე
		მასალა,ნედლეული				
		1	საშლელი - დაფის	1	ცალი	სასწავლო გარემოზე
		2	მარკერი ან/და ცარცი	1	შეკვრა	სასწავლო გარემოზე
		3	ქაღალდი A4	1	შეკვრა	სასწავლო გარემოზე
	C	მატერიალური რესურსი				
		1	არტერიული წნევის საზომი აპარატი	1	ცალი	სასწავლო გარემოზე
		2	თერმომეტრი	1	ცალი	სასწავლო გარემოზე
		3	ლახტი	1	ცალი	სასწავლო გარემოზე
		4	წამზომი	1	ცალი	სასწავლო გარემოზე
		5	სამედიცინო ტახტი	2	ცალი	სასწავლო გარემოზე
		6	ზედა და ქვედა კიდურის არტაშანი	2	წყვილი	სასწავლო გარემოზე
		7	სასწავლო მანეკენი	1	ცალი	სასწავლო გარემოზე
		მასალა, ნედლეული				
		1	ბინტი	1	ცალი	სასწავლო გარემოზე
		2	ბამბა (არასტერილური)	1	კილოგრამი	სასწავლო გარემოზე
		3	ლეიკოპლასტირი	1	შეკვრა	სასწავლო გარემოზე
		4	ხელთათმანი არასტერილური	1	წყვილი	სტუდენტზე
		5	ხელთათმანი სტერილური	1	წყვილი	სტუდენტზე
		6	შპადელი	1	ცალი	სტუდენტზე

სასწავლო რესურსი (ლიტერატურა)

1. პირველადი გადაუდებელი დახმარება, სსიპ - განათლების ხარისხის ეროვნული ცენტრი, თბილისი, 2015 წელი. (ბსუ-ს ელ. ბიბლიოთეკა);
2. საექთნო საქმე, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, თბილისი, 2015 წ. (ბსუ-ს ელ. ბიბლიოთეკა);
3. პირველადი სამედიცინო დახმარების სახელმძღვანელო. თბ., 2014 (ბსუ-ს ელ. ბიბლიოთეკა);
4. ქოჩიაშვილი ლ; კიკნაძე გ. - პირველადი სამედიცინო დახმარების სახელმძღვანელო - 2014 (ბსუ-ს ელ. ბიბლიოთეკა);
5. პირველადი დახმარება ისწავლე და დაეხმარე - 2013 (ბსუ-ს ელ. ბიბლიოთეკა);
6. მაისურაძე ი;კაცაძე ზ;ჯორბენაძე მ;გიორგაძე - პირველადი სამედიცინო დახმარების სახელმძღვანელო - 2012 (ბსუ-ს ელ. ბიბლიოთეკა);